

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაციისა და
რეინტეგრაციის პრობლემები საქართველოში

ვალერი მოდებაძე

სადოქტორო დისერტაციის რეფერატი სოციალურ მეცნიერებებში
(საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა)

თბილისი, 2010

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: მრავალფეროვანი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ეთნიკური უმცირესებების ინტეგრაცია და ერთიანი, ჰარმონიული საზოგადოების შექმნა. საქართველო გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით, სადაც ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყულად გრძნობს თავს.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს. ქვეყნის სამხრეთი რეგიონები კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით, რომლებიც სუსტად არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში და თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან უფრო მჭიდრო კავშირი გააჩნიათ ვიდრე საქართველოსთან.

ბოლო წლებში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხი გახდა. საქართველო თანდათანობით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს პრობლემებს, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად გადააქციოს. ევროსაბჭოს წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაცია და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია. ერთის მხრივ, ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ და მესხური პრობლემის იგნორირებამ, შეიძლება საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა დააკარგინოს და იზოლაციაში მოაქციოს, ასევე შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაცია. მეორეს მხრივ, დეპორტირებული მოსახლეობის მასიურმა და უკონტროლო მიგრაციამ საქართველო შეიძლება დიდად დააზარალოს და მის სხვადასხვა რეგიონებში რადიკალურად შეცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია.

მესხური საკითხი მოითხოვს ძალიან ფრთხილ და კომპლექსურ მიდგომას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პრობლემის შესწავლას, სათანადო გზების ძიებას და ცივილიზებულად გადაჭრას.

მნიშვნელოვანია რეპატრაციის პროცესის წინასწარი დაგეგმვა. დიდი მასების უკონტროლო მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის, მაგრამ ამ საფრთხის განეიტრალება შეიძლება სწორი და

გაწოსანსორებული პოლიტიკით. რეპატრიაციის პროცესის სათანადო დარეგულირების შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდეს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მესხური პრობლემის შესწავლას და რეპატრიაციის პროცესის სწორად დაგეგმვას.

კვლევის ობიექტი: ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემები საქართველოში.

მესხი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია რთული პროცესია, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში ეს ხალხი იზოლირებული იყო ქართული სამყაროსგან. საუკუნეობრივმა იზოლაციამ და საქართველოსთან ურთიერთობის არქონამ მნიშვნელოვნად შეამცირა მათი ქართული სამოქალაქო ცნობიერება. ასეთი ურთიერთობებისა და კონტაქტების არარსებობამ გამოიწვია დეპორტირებული მოსახლეობის დენაციონალიზაცია და მესხები დენაციონალიზებულ მასად აქცია. ინტეგრაცია კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მიზანმიმართულ და სისტემატურ ურთიერთობას ტიტულარულ ეთნიკურ ჯგუფთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციის პოლიტიკა განსხვავებული უნდა იყოს თითოეული ეთნიკური ჯგუფისათვის და ინტეგრაციის პოლიტიკის შექმნისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური ჯგუფის ისტორია, კულტურა, ტრადიცია, და ა.შ. ვინაიდან არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების პრობლემების გადაჭრის უნივერსალური მეთოდი, ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას თითოეული ეთნიკური ჯგუფი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება შეუძლებელია ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების დეტექტირების გარეშე. ნაშრომი გამოყოფს რეპატრიაციის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს როგორცაა, მაგალითად, რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილობა, ეთნოკონფლიქტები, სეპარატიზმისა და ირედენტიზმის საფრთხე, და ა. შ.

კვლევის მიზანია შეისწავლოს ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებს რეპატრიაციის და დეპორტირებული მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესს. ამ პრობლემების წარმოჩენას მნიშვნელოვანი

როლი ენიჭება სათანადო პოლიტიკის შემუშავებასა და მესხური პრობლემის წარმატებით გადაჭრაში.

ინტეგრაციის პოლიტიკის მიზანია ერთიანი და ჰარმონიული, მულტიკულტურული საზოგადოების შექმნა, სადაც ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, შესაძლებლობა ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ეთნიკური მრავალფეროვნება წყაროა, როგორც კონფლიქტის, ასევე პროგრესისა. სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ეფექტური ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში, ეთნიკური უმცირესობები შეიძლება გახდნენ სახელმწიფოს წარმატებული განვითარებისა და პროგრესის წყარო.

პიპოთეზა: ინტეგრირებულობის დონე დამოკიდებულია დომინანტ ეთნოსთან ურთიერთობის ინტენსივობაზე. რაც უფრო ხანგრძლივი და სისტემატიურია დომინანტ ეთნოსთან ურთიერთობა, მით უფრო ინტეგრირებულია ეთნიკური ჯგუფი. მეორეს მხრივ, დომინანტ ეთნოსთან კონტაქტებისა და ურთიერთობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ეთნიკური ჯგუფის სრული გაუცხოება. მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დაბალი დონე არის საუკუნოვანი იზოლაციის, ხშირი დეპორტაციების, ამ ხალხის განზრახ მარგინალიზაციის შედეგი. ქართველ ხალხთან ურთიერთობის არქონამ, ასევე ცენტრალურ აზიაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ, მნიშვნელოვნად შეამცირა მათი ქართული იდენტობა და დეპორტირებული ხალხი დენაციონალიზებულ მასად აქცია. ეს ხალხი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო ქართულ სამყაროს. მათ სხვადასხვა სახელმწიფოებში უხდებოდათ ცხოვრება, რომელთა პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური გარემო რადიკალურად გასხვავდებოდა ქართული სინამდვილისგან, რამაც დეპორტირებულ ხალხს ქართული ადათ-წესები დააკარგვინა და მათში ეროვნული იდენტობის კრიზისი გაამწვავა. ამიტომაც, დეპორტირებული ხალხის დაბრუნება და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია რთული და პრობლემატური საკითხია.

მეცნიერული სიახლე: ბოლო წლების განმავლობაში უამრავი წიგნი, სტატია და გამოკვლევა გამოქვეყნდა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის შესახებ. დეპორტირებული ხალხის მიმართ დაინტერესება გაიზარდა ფერდინანდ ხეობაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ. მესხური პრობლემის შემსწავლელი მკვლევარებისა და მეცნიერების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მესხურ საკითხზე ნაშრომებისა და პუბლიკაციების სიუხვის მიუხედავად, აშკარად იგრძნობა ინფორმაციის ნაკლებობა ამ საკითხის ირგვლივ. ბევრი პრობლემა, მათ შორის საქართველოში რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის შესახებ, განხილულია, მაგრამ არ არის სიღრმისეულად გამოკვლეული და გაანალიზებული. პუბლიკაციების უმრავლესობაში თითქმის არაფერია ნათქვამი თუ როგორ უნდა მოხდეს რეპატრიაციის დაგეგმვა და რა ზომები უნდა იქნას მიღებული მესხური პრობლემის წარმატებით გადასაჭრელად. ლიტერატურის მიმოხილვის დროს გამოვლინდა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის საქართველოში რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემების უფრო სიღრმისეული შესწავლის საჭიროება. **სხვა ნაშრომებისაგან განსხვავებით, ამ კვლევაში დეტალურადაა გაანალიზებული აღნიშნული საკითხი.**

2. რეპატრიაციის პროცესი ძალიან არაპოპულარული საკითხია საქართველოში. ნაშრომში მოყვანილი არგუმენტები განაპირობებს რეპატრიაციის პროცესის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლას. ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია აუხსნას ქართველ ხალხს, რომ თუ მოხდება ამ პროცესის წინასწარი დაგეგმვა და დარეგულირება, შესაძლებელი იქნება რეპატრიაციის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება.

3. ჩვენი ნაშრომი დაფუძნებულია ინტერდისციპლინურ მეთოდზე. ეს მეთოდი მოიცავს მესხური პრობლემის ისტორიულ მიმოხილვას, თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს, რეპატრიაციის საკანონმდებლო ბაზის ანალიზს და სოციოლოგიურ კვლევებს.

4. თეორია **დომინანტ ეთნოსთან უფრო სისტემატური და ინტენსიური ურთიერთობების შესახებ** შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ზოგადი თეორიული ბაზა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისათვის.

5. ინტეგრაცია ძალზედ რთული და დროში გაწეილი პროცესია. ნაშრომში შემოთავაზებულია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის

ინტეგრაციის მოდელი. აღნიშნული მოდელი სხვადასხვა პრიორიტეტებისაგან შედგება და შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- **ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაცია** - სპეციალური კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე მესხი რეპატრიანტებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნით.
- **სამოქალაქო ინტეგრაცია** - სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პროცედურების გამარტივება.
- **ლეგალურ-პოლიტიკური ინტეგრაცია** - ეროვნული უმცირესობების ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში.
- **სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია** - სოციალური გარიყულობის აღმოფხვრა და საცხოვრებელი ადგილების შერჩევა.

მეთოდოლოგია: როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინარულ მეთოდს. მესხური პრობლემის ანალიზი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და ამიტომაც ეს ნაშრომი მოიცავს მესხური პრობლემის ისტორიულ მიმოხილვას, მესხური საკითხის პოლიტიკურ ანალიზსა, რეპატრიაციის საკანონმდებლო ბაზის ანალიზს და სოციოლოგიურ კვლევებს (რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევებს და პირისპირ ინტერვიუსებს). სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა თითქმის ყველა რეგიონში, სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ: თბილისი, ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და გურია. ასევე, საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარდა სამცხე-ჯავახეთში, რათა შეგვესწავლა ადგილობრივი მოსახლეობის დამოდიკებულება რეპატრიაციის მიმართ.

კვლევის დროს, გამოყენებულ და გაანალიზებული იქნა ქართული და უცხოური (ინგლისური, რუსული, თურქული ლიტერატურულა ისტორიული დოკუმენტები და წყაროები, ასევე სრულიად საიდუმლო და საიდუმლო გადაწყვეტილებები და ბრძანებები, რომლებიც მოძიებულ იქნა სახელმწიფო არქივებში. გარდა ამისა, მეცნიერული სტატიები ინტერნეტიდან (scholar.google.com), საქართველოს და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, გადაწყვეტილებები და ბრძანებები. ინფორმაცია ასევე

მოპოვებულ იქნა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (კავკასიის სახლი, სოროსის ფონდი, ასციაცია ტოლერანტი, ქართველ რეპატრიანტთა კავშირი, ახალგაზრდა დეპორტირებულ მესხთა კავშირი-მესხეთი და სხვ.)

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა, ამიტომაც ამ კვლევას დიდი ღირებულება აქვს ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და საზოგადოებისათვის:

- ინტეგრაციის ახალი თეორიული ბაზის მეშვეობით, კვლევა ქმნის სოლიდურ თეორიულ საფუძველს ეთნიკური პრობლემებისა და ეროვნული უმცირესობების საკითხების გადასაჭრელად.
- ნაშრომში წარმოდგენილი მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის შესაქმნელად.
- ნაშრომში არსებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მაგალითი (Case study) კონფლიქტოლოგიის კურსისთვის, ან სხვა მსგავსი საგნებისათვის.

ნაშრომის შედეგები გამოქვეყნდა ექვს სტატიაში

სადოქტორო ნაშრომის შინაარსი

შესავალი: შესავალ ნაწილში განხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ობიექტი. ასევე დეტალურადაა აღწერილი კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და მეცნიერული სიახლე.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა პირველადი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ბრძანებულებები, კანონები, სტატისტიკური მონაცემები, ქართული და უცხოური ლიტერატურა.

მესხური პრობლემის შესახებ უხვად მოიპოვება პირველადი წყაროები, რაც ობიექტური და საფუძვლიანი კვლევის ჩატარებას შესაძლებელს ქმნის. ქართველი და უცხოელი (ბერძენი, თურქი, გერმანელი, ფრანგი, რუსი) მკვლევარები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და მოგზაურები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან მესხეთის მხარისა და მისი მოსახლეობის შესახებ.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივში მოპოვებული მასალებით მოხერხდა დეპორტაციასთან დაკავშირებული, ბურუსით მოცული უამრავი ფაქტებისა და მოვლენების გამოაშკარავება.

თავი 2. მესხური პრობლემის ისტორიული მიმოხილვა

მესხეთი, როგორც სასაზღვრო ზონა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხშირად ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, რაც იწვევდა მესხთა განსახლების არეალის თანდათანობით შევიწროებას. მესხეთი XVI საუკუნემდე რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში. ის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე რეგიონი იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ ასევე კულტურული თვალსაზრისით.

მესხეთის ეთნო-კონფესიურ სტრუქტურაში რადიკალური ცვლილებები დაიწყო მას შემდეგ, რაც ეს რეგიონი ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა. 1590 წელს ირანთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად მესხეთი ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული გახდა, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთი ეწოდა. ამ პერიოდიდან იწყება მესხების გამაჰმადიანების პროცესი. მიწათმფლობელობის ოსმალური წესის შემოღებამ ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა ისლამის გასავრცელებლად მესხეთში. რადგან იმ დროს რელიგია ითვლებოდა ეთნიკური იდენტობის მთავარ ინდიკატორად, გამაჰმადიანების პროცესს თან სდევდა გათურქების პროცესი.

მესხეთის გამაჰმადიანებისა და გათურქების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. იგი XVII საუკუნეში დაიწყო, საუკუნეები გრძელდებოდა და სრულყოფილად XVIII საუკუნეშიც კი არ იყო დასრულებული. ისლამი, უმეტესწილად, თავადაზნაურობამ მიიღო, ხოლო გლეხობა დიდი ხანი ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. XVIII საუკუნიდან იწყება გლეხობის გამაჰმადიანების პროცესიც. XIX საუკუნეში მესხეთში ისლამიზაციის პროცესი დასრულებულია და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებულია. თურქულენოვანი მოსახლეობის გაზრდა ხდებოდა არა იმდენად თურქული ტომების მიგრაციის ხარჯზე, რამდენადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და გათურქების შედეგად.

თურქულმა ბატონობამ მესხეთში ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, და დასრულდა მხოლოდ კავკასიაში რუსების გამოჩენის შემდეგ. 1828-1829

წლებში რუსეთმა მოახერხა თურქეთის დამარცხება და ადრიანოპოლის სამშვიდობო ზავის თანახმად მიიერთა მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი.

დიდი იყო იმედი იმისა, რომ მესხეთის განთავისუფლება თურქული ბატონობისაგან შეაჩერებდა გათურქების პროცესს, მაგრამ სრულიად საპირირისპირო რამ მოხდა. მესხეთში რუსების მოსვლის შემდეგ ქართულმა ენამ თავისი ფუნქცია დაკარგა. როგორც ალექსანდრე ფრონელი აღნიშნავს, ქართული “აღარაა ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივყრილი და გამოუსადეგარი ცხოვრებაში.”

რუსეთი ყველა იმპერიის მსგავსად დაყავი და იბატონეს პრინციპით მოქმედებდა კავკასიაში და ამიტომაც მაჰმადიანი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში მის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მესხეთის მაჰმადიან მოსახლეობას “თურქის” იარლიყი მიაკერეს, რათა გაემართლებინათ მოსახლეობის თურქეთში დეპორტაცია.

რუსულმა ბატონობამ რადიკალურად შეცვალა მესხეთის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა. რუსეთის ხელშეწყობით ხდებოდა მაჰმადიანი მესხების მასიური მიგრაცია თურქეთში, მათ მიწებზე კი ოსმალეთიდან დევნილი სომეხი ლტოლვილების დასახლება. სომეხების მიგრაციამ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX და XX საუკუნეებში. ზემოთ ხსენებული მიგრაციული პროცესები ძალზედ მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს, რადგან მან რადიკალურად შეცვალა საქართველოს სამხრეთ პროვინციების ეროვნული შემადგენლობა.

საბჭოთა კავშირი, როგორც რუსეთის იმპერიის მემკვიდრე სახელმწიფო, აგრძელებდა ანტი-ქართული პოლიტიკის გატარებას. საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო მაჰმადიანი მესხების დენაციონალიზაციას და ისინი დენაციონალიზებულ მასად აქცია. ყველაზე დიდი ზიანი მესხების ეროვნულ ცნობიერებას მიაყენეს 1923 წელს, როცა მაჰმადიანი მესხები “აზერბაიჯანულ ეროვნულ უმცირესობად” გამოაცხადეს. საბჭოთა მთავრობამ მათ ბავშვებს აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნას ქართული სკოლების გახსნის შესახებ უყურადღებოდ დატოვა.

იმისათვის, რომ დაექარებინათ მესხების იძულებითი დენაციონალიზაცია, მათ ქართული გვარის ტარების უფლება აუკრძალეს და აზერბაიჯანულთ შეუცვალეს. 1936 წელს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ყველა მაჰმადიანი მესხის “აზერბაიჯანელად” კლასიფიცირება მოეხდინა. ამის შემდეგ ისინი ყველა სტატისტიკურ მონაცემებში “აზერბაიჯანელებად” მოიხსენიებოდნენ.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც რადიკალურად შეცვალა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნო-კნფესიური შემადგენლობა, იყო მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში გადასახლება. სომხების რიცხოვრივი უპირატესობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა ადგილობრივი მაჰმადიანების დეპორტაციის შემდეგ. ჯავახეთი თითქმის მთლიანად დაცარიელდა ეთნიკური ქართველებისაგან და წმინდა სომხურ რეგიონად გადაიქცა.

შუა აზიაში გადასახლებული მესხები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა იმ ადგილებს დაბრუნებოდნენ, საიდანაც ისინი გაასახლეს. მათ შექმნეს მოძრაობა, რომელიც საქართველოში რეპატრაციისათვის მშვიდობიან აქციებს აწყობდა, მაგრამ მათმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო. დეპორტირებულთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ მოახერხა საქართველოში დაბრუნება ქართული ინტელიგენციის ხელშეწყობით.

თავი 3. დეპორტირებული ხალხის უფლებრივი მდგომარეობა და მესხური ორგანიზაციები.

დეპორტირებული მესხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ ერთ ადგილზე, ისინი გაფანტულნი არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ხალხს ერთიანობა აკლია, რის გამოც მათი მიზნები და პრიორიტეტები განსხვავებულია. მათი ინტერესების დაცვა ერთ მოძრაობას ან ორგანიზაციას არ შეუძლია. არსებობს უამრავი მესხური ორგანიზაცია, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები და ეთნიკური ორიენტაცია გააჩნიათ. მათ არ შესწევთ უნარი მიაღწიონ შეთანხმებას მნიშვნელოვან საკითხებზე, არ შეუძლიათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ და ერთიანი ძალისხმევით იბრძოლონ რეპატრაციისათვის. დეპორტირებულ მესხ ხალხს არ გააჩნია ერთობის განცდა და თავიანთ თავს არ აღიქვამენ როგორც ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრებს. ამიტომაც მათ არ შეუძლიათ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმდნენ, როგორც არის ეთნიკური იდენტობა, სამშობლოს

ზუსტი განსაზღვრება, და შესაბამისად ვერ თანხმდებიან ქვეყანაზე რომელიმე უნდა მოითხოვონ დაბრუნება.

მიუხედავად მესხური ორგანიზაციების სიჭარბისა, ისინი დიდი ეფექტურობით არ გამოირჩევიან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მესხური პრობლემის გადაჭრას. უთანხმოებები ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შესახებ ასუსტებს რეპატრიაციის მოძრაობას.

დეპორტირებული მესხი ხალხის ცხოვრების პირობები და უფლებრივი მდგომარეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პრობლემები განსაკუთრებით დიდია რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში, განსაკუთრებით კი კრასნოდარის მხარეში. უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია დეპორტირებული ხალხისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. დეპორტირებული ხალხის უფლებრივი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები შესამჩნევად გაუმჯობესდა უზბეკეთში ფერღანას ტრაგედიის შემდეგ. მესხებმა შეძლეს შუა აზიის რესპუბლიკების განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ და გეოგრაფიულ პირობებთან შეგუება. დეპორტირებული ხალხის ცხოვრების პირობები არ განსხვავდება ყაზახეთისა და ყირგიზეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებისაგან. მესხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ასევე სტაბილურია აზერბაიჯანში, უკრაინაში, თურქეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დეპორტირებული მესხების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ცხოვრობს საქართველოში. 1000-ზე ნაკლებმა კაცმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება. დღეისათვის ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე და ცხოვრების პირობებზე გავლენა იქონია საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა და ხელისუფლებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

მესხ რეპარტიანტებს განსაკუთრებით რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება გარდამავალი პერიოდის დროს. საბჭოთა კავშირის დაშლას თან სდევდა ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება, ასევე სრული ქაოსი და უწესრიგობა. მესხ რეპარტიანტთა უფლებრივი მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო შევარდნაძის რეჟიმის დროს. ხელისუფლებამ მესხ რეპარტიანტებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლება მისცა. ამსთანავე შევარდნაძის მთავრობა შეეცადა რეპატრიაციის პროცესის დაწყებას

და ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი რაოდენობით გადაწყვეტილებები და რეზოლუციები მიიღო. 1999 წელს საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება ევროსაბჭოს წინაშე, რომ დააბრუნებდა დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას საქართველოში. ვალდებულებების აღების მიუხედავად, შვედრენადის რეჟიმმა თითქმის არაფერი არ გააკეთა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. ახალი პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, რომლის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ. ამიტომაც ხელისუფლების ინტერესებშია ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. უკანასკნელი წლების განმავლობაში შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღება იყო ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ნაბიჯი, რომელიც იქნა გადადგმული დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დასაბრუნებლად საქართველოში. ამ კანონის მთავარი მიზანია დეპორტირებული მესხების დასაბრუნებლად სამართლებრივი მექანიზმების შექმნა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. კანონი დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას და მათ შთამომავლებს აძლევს უფლებას მოითხოვონ საქართველოში დაბრუნება. რეპატრიაციის პროცესი დაფუძნებული იქნება ღირსეული და ნებაყოფილობითი დაბრუნების პრინციპზე.

თავი 4. მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი და სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა.

პოლიეთნიკური ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა მისი მრავალეროვნული მოსახლეობისათვის საერთო სამოქალაქო იდენტობის შექმნა. მრავალეროვნული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობა დიდადაა დამოკიდებული მის უნარზე შექმნას ზე-ეთნიკური იდენტობა მისი პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის. სახელმწიფოების უმრავლესობას არ გააჩნია ჰომოგენური მოსახლეობა, და ამიტომაც საერთო სამოქალაქო იდენტობის შექმნა შეიძლება სერიოზული გამოწვევა იყოს მათთვის.

კავკასიაში საერთო იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის რუსეთის ჩარევა კავკასიის რესპუბლიკების

საშინაო საქმეებში. კავკასიის მრავალფეროვნება, რომელიც დასახლებულია უამრავი ეთნიკური ჯგუფითა და ერთი, გარე ძალებს უქმნის ხელსაყრელ ნიადაგს ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად.

რუსეთი ყოველთვის ცდილობდა გამოეყენებინა საქართველოში არსებული სუბ-ეთნიკური განსხვავებები ქართული სახელმწიფოს დასასუსტებლად. რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ მესხეთში გამოიწვია მაჰმადიანი მესხების სრული გაუცხოება ქართველი ერისაგან, რომელთანაც მას საერთო ისტორიული მემკვიდრეობა აკავშირებდა. რომ არა რუსეთის მიზანმიმართული ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა საერთო იდენტობის შექმნა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დეპორტაციამდე მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა კარგად ფლობდა ქართულ ენას და ქართულ ტრადიციებსა და ჩვევებს საუკუნეების განმავლობაში ინახავდა. მაგრამ მოხდა ქართული ენის განზრახ დაკნინება. მაჰმადიანი მესხების თაობები ათწლეულების განმავლობაში აზერბაიჯანულ სკოლებში იზრდებოდა. გარე ძალების ხელშეწყობით მოხდა დაპირისპირება მესხეთის მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობას შორის, რაც ერთ მიზანს ემსახურებოდა: ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურებასა და მისი ისტორიული მიწების მითვისებას. რელიგიური ნიშნით დაყოფილი მესხი ხალხი დიდი იმპერიების გეოპოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი გახდა. ამ კონფლიქტმა სამუდამოდ დააშორა ერთი სისხლისა და წარმომავლობის ხალხი და გააფუჭა ურთიერთობა მაჰმადიან და ქრისტიან მესხებს შორის.

მესხური იდენტობა ხშირად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. რომ გავიგოთ მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი, საჭიროა განვიხილოთ ეთნიკურობის ცნების ორი ურთიერთსაპირისპირო თეორიული მიმდინარეობა: პრიმორდიალიზმი და კონსტრუქტივიზმი. პრიმორდიალიზმი ეთნიკურ იდენტობას განიხილავს როგორც მუდმივ და სტატიკურ ფენომენს, ხოლო კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ ეთნიკური იდენტობა არის სოციალურად და პოლიტიკურად კონსტრუირებული. კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ ეთნიკური იდენტობა არ არის მუდმივი და უცვლელი ფენომენი. სინამდვილეში ის არის ცვალებადი და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ადაპტირების უნარის მქონე.

ეთნიკურობის კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაცია გვეხმარება უკეთესად გავიგოთ მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი. მესხეთი, როგორც

სასაზღვრო ზონა ხშირად ხდებოდა მისი უფრო ძლიერი მეზობლების მსხვერპლი და მისი მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლებოდა. სასაზღვრო რეგიონები და საზღვრები, როგორც ცნობილია ეთნიკური ცვლილებების პოტენციური ზონებია.

დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა სადავო საკითხია. მეცნიერებსა და ისტორიკოსებს შორის მუდმივი დავაა საკითხზე: ისინი ეთნიკური ქართველები არიან თუ ეთნიკური თურქები. ყველაზე უფრო დამაჯერებლად უდერს არგუმენტი, რომ დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ. ცარიტული რუსეთის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები, ასევე უცხოელი მოგზაურებისა და ეთნოგრაფების ნაშრომები ამ ვერსიის დასტურად გამოდგება.

მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში გადასახლებამდე ქართული იყო ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ენა მესხეთში. ამის ნათელი დასტურია ის დასახლებები, სადაც მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ. დასახლებების უმეტესობას ქართული სახელები აქვს. მაჰმადიანი მესხების უმეტესობა ორენოვანი იყო და გამართულად საუბრობდა ქართულად დეპორტაციამდე. ბევრმა დეპორტირებულმა მესხმა თურქული სრულყოფილად მხოლოდ გადასახლების შემდეგ ისწავლა. შუა აზიაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ დააჩქარა მათი გათურქების პროცესი. დეპორტირებული მესხი ხალხის ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია ან ემთხვევა რელიგიურ იდენტობას (მაჰმადიანი = თურქი, ქრისტიანი = ქართველი) ან კიდევ, ლინგვისტურ იდენტობას (რადგან თურქულად ლაპარაკობენ, მათი უმრავლესობა თვლის, რომ თურქები არიან)

სამცხე-ჯავახეთში არსებული დაძაბული ეთნიკური ურთიერთობები ართულებს მაჰმადიანი მესხების დაბრუნებას ამ რეგიონში. სამცხე-ჯავახეთი არის სასაზღვრო ზონა, რის გამოც ის არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოლიეთნიკური და მრავალკონფესიური რეგიონი. ამ მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკეები, სომეხი გრიგორიანელები, სომეხი კათოლიკეები, სომეხი მართლმადიდებლები, ებრაელები, რუსი დუხობორები და მაჰმადიანი აჭარლები. ამ მხარის ზოგიერთი აქტუალური პრობლემები მისი პოლიეთნიკურობითა და მრავალფეროვნებით არის გამოწვეული.

5. რეპატრაციისა და რეინტეგრაციის პროცესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები (ემპირიული კვლევა)

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა და ემპირიულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი არის რეპატრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. სამცხე-ჯავახეთისა და მისი მოსახლეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ რეგიონს კონფლიქტისკენ დიდი მიდრეკილება აქვს და დეპორტირებული ხალხის დაურეგულირებელმა მიგრაციამ ის შეიძლება დენტის კასრად აქციოს. მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება დეპორტირებული მესხი ხალხის დაბრუნების მიმართ რეპატრაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია.

სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის დაძაბული ურთიერთობისა და დეპორტირებული ხალხის მიმართ მტრული დამოკიდებულების გამო, სამცხე – ჯავახეთი შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც პოტენციური ცხელი წერტილი და ამიტომაც მესხი რეპატრიანტების მასიური ჩასახლება ამ რეგიონში არასასურველია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისპერსიულ დასახლებებს.

მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის საკითხს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოსათვის. მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში შეფერხებული პროცესია სხვადასხვა მიზეზთა გამო - ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა, კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები და ქართულ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების ნაკლებობა, დასაქმების შანსების ნაკლებობა და გლობალური ფინანსური კრიზისი, ინტერეთნიკური ქორწინებების ნაკლებობა, პოლიტიკური პასიურობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არმონაწილეობა, და.ა.შ.

ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორც არის, მაგალითად, საცხოვრებელი ადგილი და დასახლების ტიპი, საქართველოში გატარებული წლების რაოდენობა, ასაკი და დაბადების ადგილი, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები ქვეყანაში და იმ რეგიონში სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ, და ა. შ. ეს ფაქტორები არ იქნა გათვალისწინებული. კომპაქტურმა და იზოლირებულმა დასახლებებმა, მესხი რეპატრიანტებით დასახლებულ ადგილებში შესაფერისი საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობამ, მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ხალხის ქართულ

საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა. კვლევამ გამოავლინა რომ მესხი რეპატრიანტები სუსტად არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ცენტრალურ აზიაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და საუკუნეობრივმა იზოლაციამ მნიშვნელოვნად დააქინა მათი ქართული იდენტობა. გლობალური ეკონომიური კრიზისი და საზღვარგარეთ მიგრაცია აქვეითებს მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარს. ეკონომიური პრობლემები და სიღარიბე მნიშვნელოვნად ამცირებს მათ საქართველოში დასაქმების შანსებს, დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფთნ კონტაქტების დამყარებისა და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობებს. მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა სრულიად გარიყულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისგან. ერთადერთი გამონაკლისია ახალგაზრდა თაობა, რომელმაც მიიღო განათლება ან ახლა სწავლობს საქართველოში. ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი თანდათანობით იზრდება ახალგაზრდა თაობის ხარჯზე. მათ ეძლევათ საშუალება გახდნენ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები.

დასკვნა და რეკომენდაციები

ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები. 1960-იან და 1980-იან წლებში, რეპატრიაციის პროცესის დროს არ იქნა გათვალისწინებული ზემოთ დასახელებული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რის გამოც ბევრი შეცდომები იქნა დაშვებული.

რეპატრიაციის პროცესი დეტალურად უნა იყოს დაგეგმილი და უნდა შეიცავდეს სპეციალურ ზომებს, რათა მოხდეს მესხების უსაფრთხო დაბრუნება. ქართული საზოგადოების მთავარი მიზანი უნდა იყოს რეპატრიაციის გეგმის ისეთი შემუშავება, რომელიც შემცირებს ეთნიკური პრობლემების რისკს და ნეგატიურ შედეგებს ქვეყნისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებას, რათა მოხდეს მესხი რეპატრიანტების გარდაქმნა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად. ინტეგრაცია ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება. ეფექტური საინტეგრაციო პოლიტიკა შემდეგი კომპონენტებისაგან უნდა შედგებოდეს: სოციალურ-ეკონომიკური, ლეგალურ-პოლიტიკური, ლინგვისტურ-კულტურული და სამოქალაქო ინტეგრაცია.

ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაციის მიზანი უნდა იყოს, რომ დეპორტირებულ ხალხს გააცნოს ქართული კულტურა, ტრადიციები, ენა, ადათ-წესები, ნორმები და ღირებულებები. ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები. მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალური ენის კურსებისა და ენის შემსწავლელი ცენტრების დაარსებას. კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი ლინგვისტური ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის უნდა იყოს ქართულ უნივერსიტეტებში სპეციალური სტიპენდიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა ახალგაზრდა მესხი რეპატრიანტებისათვის.

ლეგალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია ნიშნავს მესხი რეპატრიანტების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პოლიტიკურ სისტემაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობას. ის ასევე გულისხმობს ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ფორმირებას და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებას.

ქართული ენის არცოდნა ქმნის მესხ რეპატრიანტთათვის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მთავარ ბარიერს. მაგრამ მათ, რომ ჰქონოდათ ქართული ენის შესწავლისა და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის, ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა უფრო მეტი სტიმული და მოტივაცია ექნებოდათ. მესხი რეპატრიანტების ჩართულობა ადგილობრივ და გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში დაახჩარებდა დეპორტირებული ხალხის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

სამოქალაქო ინტეგრაციის მიზანი უნდა იყოს ზეეთნიკური იდენტობის განვითარება, საერთო სამოქალაქო იდენტობის, პოლიეთნიკური საზოგადოების შექმნა. ეთნიკური ნაციონალიზმის ნაცვლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებას. ქართულმა საზოგადოებამ თავისი საინტეგრაციო პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების დამკვიდრებას და ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების განვითარებას. მან უნდა შექმნას სოციალური კუთვნილების განცდა და საერთო ღირებულებები და ნორმები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. ქვეყნის ნებისმიერ მცხოვრებს,

მიუხედავად ეთნიკური და რელიგიური განსხვავებებისა, უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის არის საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე

სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს მესხი რეპატრიანტების აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობებში, სოციალური გარიყულობის აღმოფხვრას და საცხოვრებელი ადგილების შერჩევას დეპორტირებული ხალხისათვის.

სოციალური გარიყულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების წარუმატებლობა უზრუნველყოს გარკვეული ინდივიდები და ეთნიკური ჯგუფები იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რომლითაც სარგებლობენ მისი წევრები. იმიგრანტებს, ახალმოსულებს (მათ შორის დეპორტირებული ხალხს) და ეთნიკურ უმცირესობებს განსაკუთრებით დიდი მიდრეკილება აქვთ სოციალური გარიყულობის მიმართ. ამიტომაც უნდა შეიქმნას სოციალური ჩართულობის პროგრამები (Social inclusion programmes), რომელიც დააჩქარებს ეთნიკური უმცირესობების, იმიგრანტების და ახალმოსულების ინკორპორაციას ქართულ საზოგადოებაში.

ასევე უნდა მოხდეს მესხი რეპატრიანთათვის სახელმწიფოს მხრიდან სათანადო საცხოვრებელი ადგილების შერჩევა. რეპატრიაციის კანონის თანახმად რეპატრიანტებმა რეპატრიაციის ხარჯები თვითონ უნდა დაფარონ. მათ უნდა მოძებნონ საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო და დაფარონ ყველა ფინანსური ხარჯები. ეს ნიშნავს, რომ დეპორტირებული ხალხი თავად გადაწყვეტს სად დაბრუნდეს და სად იცხოვროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებას არ ექნება საშუალება მოაგვაროს რეპატრიაციის პროცესი და შეარჩიოს საცხოვრებელი ადგილები მესხ რეპატრიანთათვის. დეპორტირებული ხალხის უკონტროლო და დაურეგულირებელმა რეპატრიაციამ სამცხე-ჯავახეთში, შეიძლება რადიკალურად შეცვალოს დემოგრაფიული სურათი ამ რეგიონში. დეპორტირებულთა მხოლოდ იმ კატეგორიას, რომლებმაც შეინარჩუნეს ეროვნული ცნობიერება, უნდა მიეცეს უფლება დაბრუნდეს სამცხე-ჯავახეთში, ხოლო დეპორტირებულთა ის ნაწილი რომელიც უკვე დენაციონალიზებულია და ეროვნული ცნობიერება დაკარგული აქვს, უნდა დავასახლოთ რაც შეიძლება გაფანტულად საქართველოს სხვადასხვა მხარეებში, რათა დაჩქარდეს მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია. პროქართული ორიენტაციის მესხების სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება ორი მიზეზის გამო არის გამართლებული: 1. აღდგება ისტორიული სამართლიანობა:

მესხი ხალხი თავის ისტორიულ მიწა-წყალს დაუბრუნდება. 2. მესხების ჯავახეთში დაბრუნება გააძლიერებს ქართული ეთნიკური ჯგუფის პოზიციებს ამ რეგიონში, ჯავახის სომხების სეპარატიზმისაკენ სწრაფვას კი საგრძნობლად შეასუსტებს.

თავიდან რომ ავიცილოთ დენაციონალიზებული ხალხის კომპაქტური დასახლება ერთ რომელიმე რეგიონში, რეკომენდირებულია შემოდებულ იქნას კვოტების სისტემა თითოეული რეგიონისათვის / ქალაქისათვის/ სოფლისათვის. კვოტების დაწესება ხელს შეუწყობს მესხი რეპატრიანტების გაფანტულად დასახლებას მთელს საქართველოში. სასურველია რომ მოხდეს მათი დასახლება რაც შეიძლება გაფანტულად, რომ დაჩქარდეს მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. ეს ზომა შეამცირებს ანტაგონიზმს მესხ რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. როგორც ცნობილია მასიური და კომპაქტური დასახლებები ყოველთვის ამძაფრებს ეთნიკურ დაძაბულობას დომინანტური პოზიციის დაკარგვის შიშის გამო. მაგრამ გაფანტული დასახლებები არ აღიქმება, როგორც რადიკალური დემოგრაფიული ცვლილებების გამოიწვევი საფრთხე. გარდა ამისა, გაფანტული დასახლებები აჩქარებს ინტეგრაციის პროცესს და ამცირებს იზოლაციისა და სოციალური გარიყულობის შანსებს.

რეპატრიაციის პროცესი შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდეს თუ რეპატრიაციის განხორციელების დროს მოხდება როგორც ქართული ეროვნული ინტერესების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და საზრუნავის გათვალისწინება.

ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია დამოკიდებულია ქართველი ხალხის უნარზე, რომ შექმნას ეფექტური ინტეგრაციის პროგრამები და ასევე მესხი რეპატრიანტების მზაობაზე და სურვილზე, რომ გახდნენ ქართული სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქეები.

გამოქვეყნებული ნაშრომების სია:

1. რუსული და თურქული ბატონობის გავლენა მესხეთის ეთნო-კონფესიურ შემადგენლობაზე, ინტელექტუალი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, #9, თბილისი, 2009.

2. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ინტეგრაციის სტრატეგია, ინტელექტუალი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, №9, თბილისი, 2009..
3. უთანხმოება სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შესახებ და მისი გავლენა რეპატრიაციის პროცესზე. ინტელექტუალი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, №9, თბილისი, 2009.
4. მესხური პრობლემის ისტორიული მიმოხილვა და რეპატრიაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2009.
7. საერთო იდენტობის ფორმირების მნიშვნელობა პოლიეთნიკური სახელმწიფოსათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ამერიკანისტიკაში, 2009, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. (გამოქვეყნდება “American Studies Periodical”-ში)
8. ტერმინი პოლიტიკის ხელახალი განხილვა თანამედროვე თეორიების მეშვეობით, 2010, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, (გამოქვეყნდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალიში)